ინფორმაცია

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შედეგების შესახებ

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების 3 თვის გეგმა შესრულებულია 53,1 % (გეგმა 5480,3 ათ. ლარი. ფაქტ 2912,9 .ათ. ლარი) აქედან გადასახადის გეგმა შესრულებულია 48,9 %-თ (გეგმა 3675,0 ათ. ლარი, შესრულება 1797,1 ათ. ლარი), გრანტებიდან მიღებული გვაქვს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის 1/12 ნაწილი. საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის საიდანაც ჩარიცხულია 23,8 ათასი ლარი. მიღებული გვაქვს აგრეთვე კაპიტალური ტრანსფერი რეგფონდის სამუშაოებისათვის 358,5 ათასი ლარი და საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობის მიზნით გამოიყო კაპიტალური გრანტი 200,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, კერძოდ: ბანკის მიერ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული გვაქვს 101,2 ათასი ლარი , ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი შემოვიდა 47,0 ათასი ლარი , 3 თვეში მიწის იჯარიდან შემოვიდა 14,1 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი შემოსულია 68,3 ათასი ლარი, შემოსავლები ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული გვაქვს 7,1 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 9,7 ათასი ლარი , ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხები მიღებული გვაქვს 2,8 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული გვაქვს 193,5 ათასი ლარი,

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები დაფინანსებულია 53,8 % (გეგმა 6788,9 ათ. ლარი, ფაქტი 3655,2 ათ. ლარი) აქედან:

- შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია - 560,7 ათასი ლარი
- საქონელი და მომსახურება - 399,5 ათასი ლარი;
- სუბსიდია - 1590,7 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 233,8 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 79,3 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 753,0 ათასი ლარი.
- გრანტები -38,1 ათასი ლარი;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დაფინანსებულია 73,2 ით (გეგმა 933,7 ათასი ლარი, ფაქტი 727,8 ათასი ლარი).

ინფრასტრუქტურის განვითრების თავი დაფინანსებულია 31,9 % ით (გეგმა 3355,3 ათ. ლარი და ფაქტი 1070,2 ათ. ლარი)

აქედან: სუბსიდიები სულ- 68 % (128,8 ათ.ლარი),

ქ. ყვარელში დაიწყო სანიაღვრე არხების მოწყობა,სამუშაოები მიმდინარეობს, 3 თვის მდგომარეობით გაწეულია 89,7 ათასი ლარის სამუშაოები.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - გეგმა 224,2 ათასი ლარი, ფაქტი - 176,1 ათასი ლარი.(ელ. ენერგიის ღირებულება 167,8, სანათების-8,3)

- შეძენილია 38,7 ათასი ლარის სხვადასხვა სამუშოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

- საბავშვო ბაღების გაერთიანების გეგმა 718,8 ათასი ლარი, ფაქტი 622,9 ათასი ლარი (86,7%),

-წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია - გეგმა 12,5 ათასი ლარი, ფაქტი 12,4 ათასი ლარი,

2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს მიეცათ დელეგირება საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოებზე და მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე, 2022 წლის 3 თვეში მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის გაიხარჯა 23800 ლარი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის თავი დაფინანსდა 77,7 % ით (გეგმა 712,7 ათასი ლარი, ფაქტი 554,0 ათასი ლარი) აქედან:

სპორტული და კულტურის ორგანიზაციების სუბსიდირება მოხდა 91,2% ით (გეგმა 518,1 ათასი ლარი, ფაქტი 472,9 ათასი ლარი)

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 20,0 ათასი ლარი, ფაქტი 13,1 ათასი ლარი.

გაზეთი „ყვარელი“ დაფინანსდა 11,4 ათასი ლარით,

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაში გახარჯულია 11,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაფინანსებულია 84,4 ით, (გეგმა 377,9 ათასი ლარი, ფაქტი 318,9 ათასი ლარი).

გაწეულია ერთჯერადი დახმარება უმწეო მოსახლეობისათვის ,აგრეთვე მედიკამენტებით, მკურნალობის ნაწილობრივი დაფინანსებით, ელექტრო ენერგიის გადასახადით , გაცემულია ახალშობილთა დახმარებები .

უმწეოთა უფასო სასადილოს გეგმა იყო 48,1 ათასი ლარი, ფაქტი. 35,5 ათასი ლარი;

2022 წლის 3 თვეში სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 30,2 ათასი ლარი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის და უკრაინის დასახმარებლად.

1 აპრილის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის საბანკო და სახაზინო ანგარიშებზე აქვს 3313,7 ათასი ლარი, საიდანაც 810,8 ათასი ლარი მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთია.